საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორი - ს. პ. ს. მ. დ.-ის უფროსი დ. ნ.

მომართვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.08.2021

მომართვის რეგისტრაციის ნომერი: 057/21

მომართვა შემოტანილია: ადვოკატ მ. ნ.-ის /სიითი №/ მიმართ

მომართვის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ნ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **მომართვის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 30 აგვისტოს წერილობით მომართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსმა - დ. ნ.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. ნ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიამ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს 2022 წლის 13 სექტემბერსა და 2022 წლის 20 სექტემბერს აცნობა განხილვის კოლეგიის სხდომის თაობაზე. სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელს განხილვის კოლეგიის სხდომაში მონაწილეობა არ მიუღია.

1.2 მომართვის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 09 აგვისტოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცხელ ხაზზე - 1500, სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის

მოსამსახურე - ოპერატორ მ. მ.-სთან ადვოკატმა მ. ნ.-მ მობილური ტელეფონის ნომრიდან (5*******) განახორციელა ზარი.

ადვოკატმა ოპერატორისაგან მოითხოვა მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებულის განთავსების ადგილის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რის შემდეგაც ოპერატორმა განუმარტა, რომ აღნიშნულ ინფორმაციას ტელეფონის საშუალებით ვერ მიაწვდიდნენ და საჭირო იყო ადვოკატის წერილობითი მოთხოვნა.

1.3 მომართვის ავტორის განმარტებით, ოპერატორის პასუხმა გააღიზიანა ადვოკატი მ. ნ. და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ოპერატორ მ. მ.-ს - გალანძღა და აგინა. კერძოდ, ადვოკატმა მ. ნ.-მ, ოპერატორ მ. მ.-ს მიმართა შემდეგი ფრაზებით: „დებილიზმით შეპყრობილი ადამიანი ხარ"; „შენნაირი დებილი და ერთუჯრედიანი ადამიანები რომ მუშაობენ, იმიტომაცაა საქმე კარგად"; „შტერი ხარ"; „დებილი ხარ"; „ერთუჯრედიანო ამება"; „ქმედუუნარო ხარ", „შენი დედაშ....ი"; „შენი დედა მოვტ...ნ". მომართვის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა მ. ნ.-მ დაარღვია ეთიკური სტანდარტები და ითხოვს მის დისციპლინირებას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2021 წლის 17 სექტემბერს ადვოკატმა მ. ნ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება და მიუთითა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის უფლებამოსილი პირის მომართვა არ შეესაბამება სინამდვილეს და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატმა მ. ნ.-მ მონაწილეობა მიიღო 2021 წლის 04 ნოემბრის საპროცესო კოლეგიის სხდომასა და 2022 წლის 05 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომებში, სადაც დაადასტურა მის მიერ წარმოდგენილ წერილობით ახსნა-განმარტებაში აღწერილი გარემოებები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ის საადვოკატო მომსახურებას უწევდა ბრალდებულ ლ. გ.-ს, რომლის სანახავად 2021 წლის 09 აგვისტოს მივიდა ქ. ქუთაისის N2 პენიტენციურ დაწესებულებაში, თუმცა მან ვერ შეძლო მისი დაცვის ქვეშ მყოფთან შეხვედრა, ბრალდებულის სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანის გამო. ადვოკატი დაინტერესდა ინფორმაციის გარკვევით. ქ. ქუთაისის N2 პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა ვერ მიაწოდეს ინფორმაცია ბრალდებულის გადაყვანის ადგილის შესახებ, რის შემდეგაც ადვოკატმა დარეკა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცხელ ხაზზე და გაესაუბრა სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ოპერატორს.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ოპერატორს აცნობა მისი ვინაობა; ორდერის ნომერი; მიაწოდა ინფორმაცია, რომ ბრალდებულის ოჯახის წევრებთან ერთად იმყოფებოდა ქ. ქუთაისის N2 პენიტენციურ დაწესებულებასთან და სთხოვა ოპერატორს ეცნობებინა ბრალდებულ ლ. გ.-ის გადაყვანის ადგილი, ვინაიდან ვადების სიმცირის გამო, აუცილებლად უნდა შეხვედროდა კლიენტს და შეეთანხმებინა მასთან საპროცესო მოქმედებების განხორციელება. ადვოკატის განცხადებით, ოპერატორთან საუბრისას ტელეფონი ხმამაღალ რეჟიმზე ჰქონდა ჩართული. ოპერატორმა უარი განაცხადა ადვოკატისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე, რამაც გააღიზიანა ადვოკატთან ერთად მყოფი პირები - ბრალდებულის ნათესავები, რომელთაგან ერთ-ერთი თვითნებურად ჩაერთო სატელეფონო საუბარში და შეურაცხყოფა მიაყენა პენიტენციური

დაწესებულების თანამშრომელს. ადვოკატის განმარტებით, მას ოპერატორ მ. მ.-სთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა არ მიუყენებია.

2.4 2022 წლის 05 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა მ. ნ.-მ დამატებით განმარტა, რომ ბრალდებულის ნათესავებმა მისი მობილური ტელეფონით რამდენჯერმე დარეკეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცხელ ხაზზე და გამოიყენეს მისი სახელი, რა დროსაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ოპერატორს.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2021 წლის 21 ოქტომბერს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. ნ. -ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიუთითა, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა მ. ნ.-მ საკუთარი მობილური ტელეფონით, ნომრიდან - 5**********, სატელეფონო საუბრისას შემდეგი გამონათქვამებით: „დებილიზმით შეპყრობილი ადამიანი ხარ“; „შენნაირი დებილი და ერთუჯრედიანი ადამიანები რომ მუშაობენ, იმიტომაცაა საქმე კარგად“; „შტერი ხარ“; „დებილი ხარ“; „ერთუჯრედიანო ამება“; „ქმედუუნარო ხარ“, „შენი დედაშ....ი“; „შენი დედა მოვტ...ნ“ - მიმართა ოპერატორ მ. მ.-ს, ადვოკატის მიერ დარღვეული იქნება პროცესის მონაწილესთან კომუნიკაციის ეთიკური სტანდარტი, ვინაიდან აღნიშნული ფრაზები არის უხამსი, უწმაწური და არ შეესაბამება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ადვოკატ მ. ნ.-ის მიმართ დისციპლინური დევნა აღიძრა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5 (ბ, გ) მუხლისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1, 9.4 მუხლების საფუძველზე.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

4.1 მ. ნ. წარმოადგენდა ბრალდებულ ლ. გ.-ის ადვოკატს. ბრალდებული იმყოფებოდა ქ. ქუთაისის N2 პენიტენციურ დაწესებულებაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ადვოკატის ახსნა-განმარტება.

4.2 სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცხელ ხაზზე - 1500, 2021 წლის 9 აგვისტოს მობილურის ნომრიდან - 5********** განხორციელდა ზარი. ზარის ავტორმა ოპერატორ მ. მ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა: „დებილიზმით შეპყრობილი ადამიანი ხარ“; „შენნაირი დებილი და ერთუჯრედიანი ადამიანები რომ მუშაობენ, იმიტომაცაა საქმე კარგად“; „შტერი ხარ“; „დებილი ხარ“; „ერთუჯრედიანო ამება“; „ქმედუუნარო ხარ“, „შენი დედაშ....ი“; „შენი დედა მოვტ...ნ“.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;

- სპეციალური პენიტენციური სამსხურის მიერ წარმოდგენილი, 2021 წლის 9 აგვისტოს ოპერატორ მ. მ.-სთან საუბრის აუდიო ჩანაწერი.

4.3 მობილურის ნომერი 5********* ეკუთვნის ადვოკატ მ. ნ.-ს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- ადვოკატის ახსნა-განმარტება;
- ადვოკატთა ასოციაციის ერთიან რეესტრში მითითებული მონაცემები.

4.4 ადვოკატი მ. ნ. შეესწრო მისი მობილური ტელეფონის გამოყენებით, მისი თანმხლები პირების მიერ პროცესის მონაწილისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს. ადვოკატს მისი თანმხლები პირებისათვის ხელი არ შეუშლია ოპერატორისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის ახსნა-განმარტება.

4.5 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტი:

2021 წლის 9 აგვისტოს, უშუალოდ ადვოკატმა მ. ნ.-მ მიაყენა თუ არა სიტყვიერი შეურაცხყოფა სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს - ოპერატორ მ. მ.-ს.

მომართვის ავტორმა და ადვოკატმა მ. ნ.-მ განსხვავებული განმარტებები წარმოადგინეს გადაწყვეტილების ამ სადავო ფაქტთან დაკავშირებით. მომართვის ავტორის პოზიციით, ოპერატორ მ. მ.-ს შეურაცხყოფა ადვოკატმა მ. ნ.-მ მიაყენა, რაც უარყო ადვოკატმა და განმარტა, რომ მართალია პენიტენციურ სამსახურში დარეკა, თუმცა პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მასთან ერთად მყოფმა ბრალდებულის ნათესავებმა მიაყენეს, რომლებიც გააღიზიანა ოპერატორის პასუხმა. ადვოკატმა დამატებით განაცხადა, რომ ბრალდებულის ნათესავებმა, მისი კუთვნილი მობილური ტელეფონიდან რამდენჯერმე დარეკეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცხელ ხაზზე, რა დროსაც გამოიყენეს ადვოკატის სახელი.

მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ ადვოკატმა მ. ნ.-მ 2021 წლის 9 აგვისტოს საკუთარი ნომრიდან - 5********** დარეკა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცხელ ხაზზე - 1500 და ესაუბრა ოპერატორ მ. მ.-ს, თუმცა ადვოკატი უარყოფს მის მიერ ოპერატორისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს და განმარტავს, რომ ოპერატორს შეურაცხყოფა მასთან ერთად მყოფმა პირებმა მიაყენეს. როდესაც მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთსაწინააღმდეგოა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. განხილვის კოლეგია ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას: „მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის მიხედვით, მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინს ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.06.2016 წლის გადაწყვეტილება, საქმე #ას-1294-1214-2015). განხილვის კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის, 2021 წლის 9 აგვისტოს სატელეფონო ჩანაწერი. სატელეფონო ჩანაწერის მოსმენისას ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება, რომ ოპერატორის მიმართ შეურაცხმყოფელ ფრაზებს ადვოკატი მ. ნ. აჟღერებს. განხილვის კოლეგიამ 2022 წლის 7 ოქტომბერს მომართვის ავტორს შეტყობინებით აცნობა ადვოკატის პოზიცია და სადავო ფაქტის

დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოსადგენად განუსაზღვრა გონივრული ვადა. მომართვის ავტორს ეთიკის კომისიაში დამატებითი მტკიცებულებები არ წარმოუდგენია. შესაბამისად, მხოლოდ მომართვის ავტორის პოზიციის საფუძველზე განხილვის კოლეგია დადგენილად ვერ მიიჩნევს ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ ოპერატორ მ. მ.-სთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, თუმცა დადგინდა, რომ ადვოკატ მ. ნ.-ს ხელი არ შეუშლია მისი თანმხლები პირებისათვის პროცესის მონაწილე პირისათვის შეურაცხყოფის მიყენებაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- მხარეთა ახსნა-განმარტება;
- 2021 წლის 9 აგვისტოს სატელეფონო ჩანაწერი.

5. შემაჯამებელი დასკვნა

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

5.1. ეთიკის კომისიის შეფასებით, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლისას, ერთმნიშვნელოვნად არ დადგინდა ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლისათვის (პროცესის მონაწილე პირისათვის) სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, თუმცა, დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საქმის მასალებით დადასტურდა, რომ ადვოკატმა მ. ნ.-მ ხელი არ შეუშალა მის თანმხლებ პირებს ადვოკატის სახელის გამოყენებასა და მისი მობილური ტელეფონით პროცესის მონაწილე პირისათვის შეურაცხყოფის მიყენებაში. შესაბამისად, ადვოკატის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

„ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები და არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 (ბ, გ.) მუხლები).

„ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი (შემდგომში: „ეთიკის კოდექსი“), 9.1 მუხლი).

„ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“ (ეთიკის კოდექსი, 9.4 მუხლი).

„ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ

ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან“ (ეთიკის კოდექსი, 11.1 მუხლი).

5.2. „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალური ნორმები მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე დაკისრებული პროფესიული და ზნეობრივი პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პროფესიული ეთიკის ნორმების შესაბამისი ქცევის წესების განსაზღვრას და ადვოკატის ვალდებულების დამკვიდრებას, შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისთვის“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 06 მაისის გადაწყვეტილება, №დს-შ/5-15).

5.3. „პირს, რომელიც არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის სტატუსი ბოჭავს იმ პროფესიული სტანდარტით, რომელიც მას ეკისრება, როგორც არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტის წინაშე, არამედ, როგორც პროფესიის წარმომადგენელს. ეთიკის კოდექსი ადვოკატს ავალდებულებს არა მხოლოდ კლიენტის კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობას, არამედ პროფესიისადმი საზოგადოების მხრიდან პატივისცემასა და სანდოობის მოპოვებას“ (ეთიკის კომისიის 2014 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N002/14).

5.4. „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, როგორც სასამართლო დარბაზში, ასევე სასამართლო დარბაზის გარეთ, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში - „ეთიკის კომისიის“, 24.01.2011 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე №075/10).

5.5. „ადვოკატთა ასოციაციის წევრობა _ ადვოკატის, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის სტატუსი, გამოხატავს კონკრეტული პირის კავშირს ადვოკატთა ასოციაციასთან და ადვოკატთა ერთიან სიაში რიცხული მოქმედი ადვოკატები, რომელთაც არ აქვთ წევრობა შეჩერებული, ექვემდებარებიან ადვოკატთა პროფესიულ ეთიკურ ვალდებულებებს; სწორედ ადვოკატის სტატუსი წარმოშობს ვალდებულებას ადვოკატთა მრავალათასიანი კორპორაციის წინაშე, რომელიც შეესაბამება ეთიკის კოდექსში გაცხადებულ მაღალ მიზანს - თითოეულმა ადვოკატმა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის. ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები გამოიყენება ადვოკატის როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის შემთხვევაში. ზოგადად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს კლიენტის სასარგებლოდ, თუმცა, პროფესიის მაღალი სტანდარტებიდან და ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატზე პროფესიული ეთიკის ნორმების მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, არამედ ადვოკატი მისი სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკა, რაც მოიცავს არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას, არამედ ადვოკატის სტატუსის მქონე პიროვნების ქმედებებს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს პროფესიას, შესაბამისად, ვალდებულია იზრუნოს პროფესიულ იმიჯზე და

კორპორაციულ ავტორიტეტზე“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 8 იანვრის წერილობითი რეკომენდაცია N012/14).

5.6. განხილვის კოლეგიისათვის საყურადღებოა, რომ ადვოკატმა მ. ნ.-მ 2021 წლის 9 აგვისტოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცხელ ხაზზე - 1500, დარეკა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით. ადვოკატი ცდილობდა კლიენტის - ლ. გ.-ის ადგილსამყოფელის დადგენას კლიენტთან სამოქმედო სტრატეგიის შეთანხმებისა და საპროცესო ვადების დაცვის მიზნით. კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის უპირველესი მისიაა გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება, რათა საქმის წარმოებისას კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უზრუნველყოს კლიენტის ინტერესების დაცვა. ამავე დროს, ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას იმოქმედოს პროფესიული ეთიკის სტანდარტების შესაბამისად. ადვოკატი მ. ნ. ცდილობდა დაეცვა კლიენტის საუკეთესო ინტერესები, თუმცა ამავე დროს, ის ვალდებული იყო საპროცესო მოქმედებების განხორციელების პროცესში, აქტიური ქმედებით ხელი შეეშალა სხვა პირთათვის ადვოკატის სახელით სარგებლობასა და პროცესის მონაწილე პირისათვის შეურაცხყოფის მიყენებაში. ადვოკატმა მ. ნ.-მ 2022 წლის 5 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე დაადასტურა, რომ ის შეესწრო მისი თანმხლები პირების ქცევას და აღნიშნულმა პირებმა რამდენჯერმე დარეკეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის ცხელ ხაზზე, რა დროსაც გამოიყენეს ადვოკატის სახელი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს. განხილვის კოლეგიის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ პროცესის მონაწილისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, ადვოკატი ვალდებული იყო აღეკვეთა სხვა პირთა არაეთიკური ქცევა და თანმხლებ პირთათვის აეკრძალა მისი მობილური ტელეფონის გამოყენება და ადვოკატის სახელით სარგებლობა, ვინაიდან საზოგადოებისათვის სწორედ ადვოკატი აღიქმებოდა წესრიგის დამრღვევ პირად. ადვოკატ მ. ნ.-ს მისი თანხმხლები პირებისათვის, მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის გამოყენება და მისი სახელით სარგებლობა არ აუკრძალავს და არც შესაბამისი გონივრული ზომები მიუღია. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი წარმოადგენს საზოგადოებრივ ოფიცერს, რომელსაც უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია როგორც კონკრეტული კლიენტის წინაშე, ასევე საზოგადოების, მართლმსაჯულებისა და ადვოკატის პროფესიის წინაშე. ამდენად, მნიშვნელოვანია ადვოკატმა საკუთარი ქმედებით განამტკიცოს საზოგადოების რწმენა ადვოკატის პროფესიის მიმართ, იზრუნოს საკუთარ რეპუტაციაზე და ჩრდილი არ მიაყენოს ადვოკატთა კორპუსს.

5.7. კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადვოკატ მ. ნ.-ს ეკისრებოდა ვალდებულება ემოქმედა როგორც საკუთარი, ისე ადვოკატთა კორპუსის პრესტიჟის დაცვის მიზნით. განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიის ერთგვაროვანი პრაქტიკით განმტკიცებულია ადვოკატთა ვალდებულება იზრუნონ არა მხოლოდ საკუთარ რეპუტაციაზე, არამედ ადვოკატთა კორპუსის პრესტიჟზე. „ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ ეჭვქვეშ დააყენოს ადვოკატის პროფესიის ავტორიტეტი. კომისიის შეფასებით, ადვოკატის პირადი ღირსება და პატიოსნება არა მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის, როგორც ინდივიდის პიროვნული თვისებებია, არამედ თავისი მნიშვნელობით უფრო ვრცელი მასშტაბისაა. ….ყველა ის პირადი თვისება, რომელიც ადვოკატს უნდა ახასიათებდეს, იმავდროულად ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებად

განიხილება, … რაც იმავდროულად ხელს უწყობს კოდექსში გაცხადებული მიზნის - ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებას“ (ეთიკის კომისიის 2007 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N3030/07). განხილვის კოლეგიის შეფასებით, ადვოკატმა მ. ნ.-ს ჰქონდა ინფორმაცია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომელს - პროცესის მონაწილე პირს, მისი თანმხლები პირები აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, რა დროსაც სარგებლობდნენ ადვოკატის მობილური ტელეფონითა და სახელით. ადვოკატ მ. ნ.-ს ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა აღეკვეთა მასთან მყოფი პირების მიერ ადვოკატის სახელით ოპერატორ მ. მ.-სათვის შეურაცხყოფის მიყენება და ადვოკატის სახელით სარგებლობა, რაც მას არ გაუკეთებია. საქმის მასალების შესწავლისას არ დადგინდა, რომ გადაწყვეტილების 3.2 პუნქტში მითითებული სადავო ფრაზების ავტორია უშუალოდ ადვოკატი მ. ნ., თუმცა საქმისწარმოების ფარგლებში დადგენილია, რომ ადვოკატმა საკუთარი უმოქმედობით ხელი არ შეუშალა მის თანმხლებ პირებს ადვოკატის სახელით სარგებლობაში, რის გამოც სპეციალური პენიტენციური თანამშრომლის მიერ ის აღქმული იყო, როგორც სადავო ფრაზების ავტორი და ადვოკატის ქმედებით ჩრდილი მიადგა არა მხოლოდ მის პირად, როგორც ერთი კონკრეტული ადვოკატის რეპუტაციას, არამედ მთლიანად ადვოკატთა კორპუსის პრესტიჟსა და იმიჯს, რამაც საფრთხე შეუქმნა ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობის ხარისხსა და დამოკიდებულებას. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ადვოკატ მ. ნ.-ის ქმედება ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი ქცევის სტანდარტებს, ვინაიდან მას ეკისრებოდა ვალდებულება აქტიური ქმედებით შეეშალა ხელი თანმხლები პირებისათვის მისი სახელითა და მობილური ტელეფონით სარგებლობასა და პროცესის მონაწილე პირისადმი შეურაცხყოფის მიყენებაში.

5.8. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ არ დადასტურდა ადვოკატ მ. ნ.-ის მიერ სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, თუმცა დადგინდა, რომ ადვოკატმა მ. ნ.-მ ხელი არ შეუშალა მასთან ერთად მყოფ პირებს მისი კუთვნილი მობილური ტელეფონითა და სახელით სარგებლობასა და პროცესის მონაწილე პირისათვის შეურაცხყოფის მიყენებაში, რა დროსაც აღნიშნული პირები აღიქმებოდნენ, როგორც ადვოკატი მ. ნ. და პროცესის მონაწილეს მიმართავდნენ უწმაწური, ამორალური, საზოგადოებისათვის მიუღებელი ფრაზებით, რომლებიც თავისი შინაარსის გათვალისწინებით არის დამამცირებელი და პიროვნების ღირსების შემლახავი. კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი მ. ნ. პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე ვინც მისი სახელით ახორციელებდა ქმედებას და ყველა გონივრული ზომა უნდა მიეღო იმისათვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან.

5.9. განხილვის კოლეგიის პოზიციით, ადვოკატის მიერ დარღვეულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(ბ, გ.) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1, 9,4, 11.1 მუხლით დადგენილი ქცევის სტანდარტები.

5.10. დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე.

5.11. ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

5.12. „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

5.13. „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

5.14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

5.15. ეთიკის კომისია ითვალისწინებს დარღვევის ხასიათს, ზიანს, ფაქტს, რომ ადვოკატ მ. ნ.-ს უშუალოდ არ მიუყენებია შეურაცხყოფა პროცესის მონაწილისათვის; ფაქტს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და ადგენს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული პროფესიული ვალდებულების დარღვევის პროპორციული დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმა.

5.16. განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მისი გაცემის ფაქტი კონკრეტულ ადვოკატზე ეცნობება მხოლოდ განხილვის მხარეებს. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის. (ადვოკატთა

დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, მუხლი 38).

5.17. კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე და 38–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე 057/21 ადვოკატ მ. ნ.-ის /სიითი N/ მიმართ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.

4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/